

## გელა ქირიას CV



მე, გელა ქირია დავიბადე 1967 წლის 26 ოქტომბერს, ზუგდიდის რაიონში

1985 წელს დავამთავრე საშუალო სკოლა

1985 – 1987 წლებში გავიარე სავალდებულო სამხედრო სამსახური

1992 წელს დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, იურისტის კვალიფიკაციით

1992 – 1999 წლებში ვმუშაობდი საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურის სოხუმის რეგიონალური პროკურატურის სტაჟიორ გამომძიებლად, გამომძიებლად, უფროს გამომძიებლად და პროკურორის მოადგილედ

მონიჭებული მაქვს იუსტიციის უფროსი ლეიტენანტის წოდება

2000 წელს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები და 10 წლის ვადით დავინიშნე აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლედ. ამავდროულად დამეკისრა თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებები

2000 – 2015 წლებში სამოსამართლეო უფლებამოსილებას ვახორციელებდი აფხაზეთის უმაღლეს სასამართლოში, გაგრისა და გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (თავმჯდომარედ), მცხეთის რაიონულ სასამართლოში, ლანჩხუთის რაიონულ სასამართლოში (თავმჯდომარედ), ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში (ადმინისტრაციული პალატის თავმჯდომარედ), ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (თავმჯდომარედ)

2011 წელს 10 წლის ვადით დავინიშნე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ

2016 წლიდან ვარ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე

უცხო ენებიდან კარგად ვფლობ რუსულ ენას, ინგლისურ ენას ვფლობ შეზღუდვით

ვცხოვრობ, თბილისში, მყავს მეუღლე და ორი შვილი (8 და 12 წლის)